

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის  
მიზნობრივი პროგრამა

2017 წლისათვის  
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

დიალიზის ცენტრების პაციენტთა სატრანსპორტო  
კომპენსაციით უზრუნველყოფა

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

“1 იანვარი“ 2017წ.  
“31 დეკემბერი“ 2017წ.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 06 01 04

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

23964 (ოცდასამიათასცხრაასსამოცდაოთხი) ლარი

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 23964 ( ლარი.)

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

**7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:**

თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება ხორციელდება დიალიზის სახელმწიფო პროგრამით. ბენეფიციარებს სამკურნალო სეანსები უტარდებათ ქ. ბათუმის კლინიკებში. პროგრამით დაფინანსებულია ყოველთვიურად 13 სეანსი. სეანსების ჩატარება მკაცრად რეგლამენტირებულია. მკურნალობის რეჟიმის დარღვევა ჯანმრთელობის გაუარესების რისკის შემცველია, არ არის გამორიცხული სიცოცხლისათვის სავალალო შედეგიც.

სისტემატიური გადაადგილების აუცილებლობა კიდევ უფრო ამძიმებს მცირეშემოსავლიანი ოჯახების მდგომარეობას და ჯანმრთელობის პრობლემების პარალელურად უქმნის მათ დამატებით ფინანსურ სიძნელეებს.

პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებად მიზნული იქნა ბენეფიციართა დახმარება ტრანსპორტირების თანხით. ამასთანავე ყველა ბენეფიციარი შშმ პირია და გადაადგილებისათვის საჭიროებენ დამხმარე პირს, რაც ქმნის დამატებითი ტრანსპორტირების ხარჯის აუცილებლობას.

**8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:**

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ბენეფიციართა დიალიზის განხორციელების ხელშეწყობა	ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის ამაღლება
2	ჯანმრთელობის გაუარესების რისკის შემცირება	

**9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:**

2017 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	მომსახურების გაწევა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

## 10. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამით მომსახურება გაეწევა ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტებს, რომლებიც ჩართული არიან ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და სეანსები უტარდებათ ქ. ბათუმის კლინიკებში. საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარების ჩართვა მოხდება წლის განმავლობაში

## 11. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
	ძირითადი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	23964			23964
	დამატებითი					
	სულ					

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	ბენეფიციართა რაოდენობა	სეანსის რაოდენობა თვის განმავლობაში	ბენეფიციართა ტრანსპორტირების თვის ხარჯი (ლარი)	სულ ხარჯი (ლარი)
	29	13	1913,60	22963,20
5	გაუთვალისწინებელი ხარჯი (ბენეფიციარის დამატება, კლინიკის მონაცვლეობა და სხვა)			1000
სულ				23963,20

## დამატებითი ინფორმაცია:

1. ტრანსპორტირების ხარჯის გაანგარიშება ხდება საცხოვრებელი ადგილიდან სამკურნალო დაწესებულებამდე ორმხრივად, გადასაადგილებელი ტრანსპორტის (სამარშრუტო ტაქსის) საფასურის მიხედვით. მხედველობაში მიიღება ბენეფიციარისა და თანმხლები პირის ტრანსპორტირების ხარჯი.

2. ნებისმიერი მიზეზით ჰემოდიალიზის პროცესის შეჩერების ფაქტის შეტყობინების ვალდებულება ეკისრება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს.

3. მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

გადაადგილების საფასური გაიცემა ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორებით ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით.